შპს მარდი აკვაპარკი (ს/კ 445685018)
ფინანსური ანგარიშგება

31 დეკემბერი, 2023 წელი

ბათუმი, 2024

შინაარსი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ..... - 3 -
მოგება & ზარალის ანგარიშგება ..... - 4 -
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება ..... - 5 -
კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება ..... - 6 -
1. კომპანია და მისი საქმიანობა ..... - 7 -
2. მომზადების საფუძველი. ..... - 7 -
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა ..... - 8 -
4. პერსონალის შენახვისა და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები ..... - 11 -
5. ცალკეული ფინანსური ანგარიშგებების შესწორება გამოყენების შემდეგ ..... - 12 -
6. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას ..... - 12 -
7. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ..... - 13 -
8. გაუთვალისწინებელი გარემოებები და პირობითი ვალდებულებები ..... - 13 -
9. ფინანსური რისკების მართვა ..... - 13 -
10. კაპიტალის მართვა ..... - 14 -

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	**2023**
წელი	
აქტივები	
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	22,322.52
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-
გადახდილი ავანსები	2,012,736.00
მარაგი	3,556.68
დაუმთავრებელი წარმოება	273,455.22
გაცემული მოკლევადიანი სესხები	794,822.91
მისაღები პროცენტები	44,964.29
საგადასახადო აქტივი	613,505.31
სხვა მოთხოვნები	-
სულ მოკლევადიანი აქტივები	**3,765,362.93**
ძირითადი საშუალებები	4,150,499.13
არამატერიალური აქტივები	-
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	-
სულ გრძელვადიანი აქტივები	**4,150,499.13**
სულ აქტივები	**7,915,862.06**
ვალდებულებები	
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,146,718.02
მიღებული ავანსები	6,513,675.54
მოკლევადიანი სესხები	254,401.94
გადასახდელი პროცენტები	-
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები	-
ანარიცხები	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	**8,914,795.50**
კაპიტალი	
საკუთარი კაპიტალი	1,372,236.05
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)	(2,371,169.49)
სულ კაპიტალი	(998,933.44)
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	**7,915,862.06**

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელმოწერილია 2024 წლის 20 სექტემბერს

ამირან კაკაბაძე
დირექტორი

თამარ დევაძე
ფინანსური მენეჯერი

მოგება & ზარალის ანგარიშგება

მოგება-ზარალის ანგარიშგება	
წელი	**2023**
ამონაგები	
ამონაგები ძირითადი საქმიანობიდან	-
სხვა ამონაგები	-
სულ ამონაგები	-
გამოყენებული ნედლეული და მასალები	-
პერსონალის დანახარჯი	(724,999.46)
გაყიდვების საკომისიო	(1,238,080.11)
მარკეტინგის დანახარჯი	-
წარმომადგენლობითი დანახარჯი	-
საკონსულტაციო ხარჯები	(105,306.60)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯი	(987.90)
ცვეთა ამორტიზაცია	(228.01)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	(35,454.34)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(142,976.15)
სულ საოპერაციო ხარჯები	(2,248,032.57)
ფინანსური შემოსავლები	57,063.18
ფინანსური ხარჯები	(13,646.31)
წმინდაზარალი/შემოსავალი საკურსო სხვაობიდან	(118,941.57)
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	2,818.39
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(50,430.61)
მოგება დაბეგვრამდე	(2,371,169.49)
მოგების გადასახადი	-
მოგება&(ზარალი) დაბეგვრის შემდგომ	(2,371,169.49)

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელმოწერილია 2024 წლის 20 სექტემბერს

ამირან კაკაბაძე
დირექტორი

თამარ დევაძე
ფინანსური მენეჯერი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ფულადი ნაკადების ანგარიშგება	
წელი	**2023**
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	
მიღებული ავანსები	6,504,650.54
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(4,415,551.25)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(728,238.88)
განაცემები ანგარიშვალდებულ პირზე	-
გადახდილი გადასახადები	(537,686.13)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(308,456.41)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	514,717.87
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	
ძირითადი საშუალებების შეძენა	(1,060,705.98)
სესხების გაცემა	(801,074.93)
გაცემული სესხების დაბრუნება	18,350.91
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(1,843,430.00)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	
კაპიტალის შევსება	1,372,236.05
სესხის აღება	-
სესხების დაფარვა (ძირი და პროცენტი)	(22,515.98)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	1,349,720.07
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერ	21,007.94
საკურსო სხვაობა	1,314.58
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერ	22,322.52

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელმოწერილია 2024 წლის 20 სექტემბერს

ამირან კაკაბაძე
დირექტორი

თამარ დევაძე
ფინანსური მენეჯერი

კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება		
წელი		2023
საწესდებო კაპიტალი		-
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		(2,371,169.49)
დამატებით შეტანილი კაპიტალი		1,372,236.05
სულ		**(998,933.44)**

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელმოწერილია 2024 წლის 20 სექტემბერს

ამირან კაკაბაძე
დირექტორი

თამარ დევაძე
ფინანსური მენეჯერი

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს მარდი აკვაპარკი დაფუძნებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2023 წლის 31 იანვარს. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.
კომპანიის დამფუძნებლები არიან:

შპს მარდი ჰოლდინგი	245538985	-	50%
შპს City Star	245615927	-	50%

დირექტორები: ამირან კაკაბაძე პ/ნ 61006005517
იურიდიული მისამართი: ბათუმში, გრიბოედოვის ქ. N21;
ფაქტობრივი მისამართი: ბათუმი, სულიკო ჟღენტის, ე. ნინოშვილის ქ. N2.
კომპანიის ძირითადი საქმიანობა: სამშენებლო/დეველოპერული საქმიანობა, აპარტამენტების მენეჯმენტი.
ანგარიშგების ვალუტა: ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ქართულ ლარში.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების მიწოდებას ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის მათთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. საანგარიშგებო პერიოდში კომპანია თავის საქმიანობას ახორციელებს მხოლოდ საქართველოს მასშტაბით (ქ. ბათუმი).

საზოგადოება ჩართულია საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობასა და დეველოპმენტში ქ. ბათუმში, ახალგაზრდობის ქ. N7, რომელიც მოიცავს 10 442 კვ.მ. საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ სივრცეებს. კორპუსი განკუთვნილია 308 ნომრის/აპარტემენტის ოპერირებისთვის საერთაშორისო ბრენდ ACCOR-ის ქვეშ გასაყიდად, ხოლო შემდგომ მენეჯმენტისთვის. პროექტის დასრულება მოსალოდნელია 2025 წლის დასასრულისთვის.

საანგარიშგებო პერიოდში კომპანიას შვილობილი კომპანიები, რეგისტრირებული ფილიალები ან/და წარმომადგენლობები არ გააჩნია.

2. მომზადების საფუძველი.

ანგარიშგების შესაბამისობა
წინამდებად ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს ფასს სტანდარტი 2015) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.
ფინანსური ანგარიშების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში.

ფუნქციონირებადი საწარმო.
ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებელს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანია საქართველოში. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებისთვის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის საქმიანობა, მიზნები და სტრატეგია, ძირითადი რისკები და გაურკვევლობა მისი მიზნების მისაღწევად. ხელმძღვანელობამ მოამზადა კომპანიის ფინანსური პროგნოზი ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების დღიდან 12 თვის განმავლობაში, რომელშიც გაითვალისწინა მოვლენათა უარყოფითი განვითარების შესაძლო სცენარები, რომელიც გულისხმობდა უარყოფითი გავლენის ისეთი დონის გამოკვლევას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის ფუნქციონირების შეწყვეტა. ამის საფუძველზე, ხელმძღვანელობას

მიაჩნია, რომ კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან 12 თვის განმავლობაში, დაკავშირებული არ არის არსებით განუსაზღვრელობასთან.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვევით მოცემულია საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკის ის არსებითი ნაწილი, რომელიც თანმიმდევრულად გამოიყენებოდა წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მიმართ.

მოქმედი და წარსადგენი ვალუტა

საზოგაოდების მოქმედი (სამუშაო) ვალუტა არის ლარი და შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების წარსადგენად გამოყენებულია ეროვნული ვალუტა „ლარი“, რომელიც ასახავს ძირითადი მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული შესაბამისი გარემოებების ეკონომიკურ არსს.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები შედგება საზოგადოების ხელთ არსებული ბანკნოტებისა და მონეტებისგან და ბანკებში არსებულ შეუზღუდავ ანგარიშებზე არსებული ნაშთისგან.
უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში გადაანგარიშებულია ბალანსის შედგენის თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით.

ამონაგების აღიარება

საზოგადოება ამონაგებს შეაფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღრებულებიდან გამოიქვითება საზოგადოების მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საზოგადოების საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების, როგორც საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:

1. საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;
2. საწარმო ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
3. შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;
4. მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და
5. შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთნ დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება;

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ძირითადი საშუალებები.

ქონება, მოწყობილობები და აღჭურვილობა მითითებულია თვითღირებულებით, საჭიროების შემთხვევაში აკუმულირებული ამორტიზაციისა და გაუფასურების რეზერვების გამოკლებით.

მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯები აღირიცხება მათი გაწევისას. შენობა-ნაგებობების ძირითადი ნაწილების და მოწყობილობის კომპონენტების შეცვლის ღირებულება კაპიტალიზდება.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭრურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ამოსაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი პერიოდიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ამოღებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგება-ზარალში.

გაყიდვით მიღებული მოგება და ზარალი, რომელიც განისაზღვრება შემოსავლების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით, აღიარებულია მოცემული წლის მოგება-ზარალში (სხვა საოპერაციო შემოსავალში ან ხარჯში).

ცვეთა.

ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, საანგარიშო სასარგებლო გამოყენების ვადებში მათ სასარგებლო ვადაზე მათი ღირებულების თანაბარი განაწილებით:

დასახელება	**სასარგებლო გამოყენების ვადა წლებში:**
კომპიუტერული ტექნიკა	5
ელ. მოწყობილობები	5
თბოტექნიკური მოწყობილობები	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის ის საანგარიშო თანხა, რომელსაც კომპანია ახლა მიიღებდა აქტივის რეალიზაციიდან რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით. აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო გამოყენების ვადა ექვემდებარება გადახედვას და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

მოგების გადასახადი. 2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ საგადასახადო კოდექსში განახორციელა ცვლილებები, რომლის მიხევითაც 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიებს მათ გამომუშავებულ მოგებაზე არ ევალებათ გადაიხადონ მოგების გადასახადი, მანამ სანამ არ მოხდება ამ მოგების განაწილება ან არ ჩაითვლება განაწილებულად დივიდენდის სახით.

მოგების გადასახადი 15% გადასახდელია გაცემულ წმინდა დივიდენდებზე, რომელიც თავის მხრივ იყოფა 0,85 ზე და მრავლდება 0,15-ზე. გარდა ამისა, გაცემული დივიდენდები გადახდის წყაროსთან იბეგრება 5%-იანი საშემოსავლო გადასახადით. 2017 წლის 1 იანვრიდან დივიდენდები რეზიდენტ იურიდიულ პირებზე არ ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას.

დივიდენდები მოგებაზე, რომელიც მიღებული იყო 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე, ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას, რომელიც მიიღება 0,15/0,85 წილადზე გადამრავრებით, რომელიც თავის მხრივ შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო კრედიტით, რომელიც გამოითვლება როგორც დეკლარირებული და გადახდილი გადასახადი დასაბეგრ მოგებაზე შეპირისპირებული იმავე პერიოდის მთლიანი წმინდა მოგების, რომელიც გამრავლებულია განაწილებულ დივიდენდზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდის განაწილებაზე დაწესებულ ფაქტობრივ მოგების გადასახადს.

მარაგები.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებისა და წმინდა რეალიზებადი ღირებულებიდან უმცირესით. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით. მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალო მასალებს და იმ ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც წარმოიშვა მარაგების მათ არსებულ მდებარეობასა და პირობაში მოსაყვანად. წმინდა რეალიზებადი ღირებულება არის ბაზარზე მარაგების სავარაუდო გასაყიდი ფასისა და გაყიდვის გარიგების დასრულებისათვის საჭირო ხარჯების სხვაობა.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების თავდაპირბელი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით და შემდგომი ამორტიზებული ღრებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

გადახდილი ავანსი.

გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკაშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება, როგორც გრძლევადიანი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღრებულებაში ჯგფუფის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოვა. სხვა გადახდილი ავანსები მოგება და ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს მინიშნება, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილ ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახიდლი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება ან ზარალში.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და აკლდება საკუთარ კაპიტალს იმ პერიოდში როდესაც გამოცხადდება და დამტკიცდება.

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდვებიდან დაკავშირებული გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) გადახდილი უნდა იქნეს საგადასახადო ორგანოებისთვის, საქონელის ან მომსახურების მომხმარებლებზე მიწოდებისას. ჩასათვლელი დღგ-ს ანაზღაურება, როგორც წესი, ხდება გადასახდელ დღგ-სთან შეპირისპირებით, დღგ-ს ანგარიშ - ფაქტურის მიღებისას. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, კომპანიის ამონაგების მთავარი წყარო, კერძოდ ბინების/აპარტამენტების რეალიზაცია იბეგრება დღგ-თი. გაყიდვებთან და შესყიდვებთან დაკავშირებული დღგ აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ნეტო საფუძველზე და განცალკევებით მოცემულია აქტივად და ვალდებულებად.

სესხები

სესხების საწყისი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით, ტრანზაქციის დანახარჯების გამოკლებით და შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშება

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისა და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი წლის ბოლოს არსებული სებ-ის მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით, აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით. რეალური ღირებულებით წარმოდგენილი არაფულადი პუნქტების გადაყვანა ხორციელდება რეალური ღირებულების განსაზღვრის დღეს არსებული სავალუტო კურსების გამოყენებით.

2023 წლის 31 დეკემბრის ოფიციალური გაცვლითი კურსი წარდმოგენილია ქვემოთ:

1 აშშ დოლარი -	2.6894 ლარი
1 ევრო -	2.9753 ლარი

4. პერსონალის შენახვისა და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები

ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები და ავადმყოფობის გამო შვებულებები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები დარიცხულია კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურების გაწევის წელს. კომპანიას არა აქვს რაიმე საპენსიო ან მსგავსი დახმარების გადახდის კანონით გათვალისწინებული თუ კონტრუქციული ვალდებულება.

5. ცალკეული ფინანსური ანგარიშგებების შესწორება გამოყენების შემდეგ

ნებისმიერი ცვლილება ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში, ცალკეული ფინანსური ანგარიშგების გამოცემის შემდეგ, საჭიროებს კომპანიის ხელმძღვანელობის დადასტურებას, რომელთა მიერ მოხდა ამ ცალკეული ფიანნსური ანგარიშგებს გამოსაცემად უფლებამოსილების მინიჭება.

6. მნიშვნელოვანი საღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები საღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას

საზოგადოება აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებებისა და მსჯელობების მუდმივი გადახედვა ხორცილდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრულ საფუძველზე მოხდება არსებული გარემოებების გათვალისწინება. ხელმძღვანელობა საღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისსას შეფასებებთან ერთად იყენებს ასევე მსჯელობებს, რომელთაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და შეფასებებს, რომლებმაც ასევე შეიძლება გამოიწვიოს არსებითი კორექტირებები აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსურ წელს.

აქტივების გაუფასურება და ანარიცხების აღრიცხვა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის კომპანია აფასებს არსებობს თუ არა რაიმე ინდიკატორი რომ კომპანიის აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება შემცირებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებ თანხამდე. 2023 წლის 31 დეკემბრისთვის ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო ყველა შესაბამისი შიდა და გარე ფაქტორი და დაადგინა რომ გაუფასურების ასეთი ინდიკატორი არ არსებობს და შედეგად კომპანიაში არ ჩატარებულია გაუფასურების ტესტი.

დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების თავდაპირველი აღიარება

საზოგადოება ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში ახორციელებს ტრანზაქციებს დაკავშირებულ მხარეებთან. იმის განსაზაღვრად ტრანზაქციისას გამოიყენება საბაზრო თუ არასაბაზრო საპროცენტო განაკვეთები, თუ ასეთი ტრანზაქციებისთვის აქტიური ბაზარი არ არსებობს, გამოყენებულია მსჯელობები. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესახებ მსჯელობის საფუძველზე გამოყენებულია მსგავსი ტრანზაქციების ფასების ანალიზი არადაკავშირებულ მხარეებთან.

სასარგებლო მომსახურების ვადები.

ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადების განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავსს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი, ძირითადად, გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა, მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ფიზიკური ცვეთა, ხიშრად იწვევს აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამიმდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავებენ საზოგადოებისთვის გათვალისწინებულ იქნა შემდეგი ფაქტორები: 1. აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; 2. მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რად დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და მოვლა-შენახვის პროგრამაზე; და 3. საბაზრო პირობების ცვლილებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

7. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები დაკავშირებულ მხარეებად მიიჩნევა ზოგადად, როდესაც მხარეები ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა ან ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაცი გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშრებული მხარის უერთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას.

შემოსავლები და ხარჯები დაკავშირებულ მხარეებთან არ არის დაფიქსირებული.

8. გაუთვალისწინებელი გარემოებები და პირობითი ვალდებულებები

სასამართლო გადაწყვეტილებები.
ჩვეულებრივ საქმიანობაში კომპანიამ შესაძლოა მიიღოს სხვადასხვა სარჩელი. საკუთარ შეფასება და როგორც შიდა ისე გარე პროფესიულ რჩევებზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობა ფიქრობს რომ სარჩელების გამო ისეთი არსებითი ზარალი არ დადგება, რაც გადააჭარბებს ამ ფინანსურ ანგარიშგებაში გაკეთებულ ანარიცხებს.

უზრუველყოფაში ჩადებული და შეზღუდული აქტივები.

2023 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიას არ უფიქსირდება უზრუნველყოფაში ჩადებული აქტივები.

9. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო რისკის და სხვა ფასის რისკის ჩათვლით), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკების განგენილობა აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის ფუქნციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და სამართლებრივი რისკები.

საკრედიტო რისკი. კომპანიას აქვს განფენილობა საკრედიტო რისკის მიმართ, რაც არის იმის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ერთ-ერთმა მხარემ შეიძლება გამოიწვიოს ფინანსური ზარალი მეორე მხარისთვის, ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის განფენილობა წარმოიშვება საკრედიტო პირობებით გაყიდვებიდან და კონტრაგენტებთან სხვა ოპერაციებიდან, რომლებიც წარმოშობს ფინანსურ აქტივებს.

საკრედიტო რისკის მართვა. კომპანია შეიმუშავებს პროცედურათა ერთობლიობას საკრედიტო რისკის მართვის მიზნით. საკრედიტო რისკების შემცირების ძირითადი მექანიზმი არის ფულის და ფულის ექვივალენტების განთავსება ავტორიტეტულ საფინანსო დაწესებულებებში, ქონების გაყიდვა წინასწარი გადახდის პირობებით და გადახდების განრიგის შესრულების კონტროლი.

საზოგადოების საკრედიტიო რისკის მაქსიმალური განფენილობა ასახულია ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. კომპანიას არ გააჩნია პოლიტიკა და პროცედურები საპროცენტო განაკვეთის რისკების მართვის მხრივ, ვინაიდან, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ეს რისკი არის არაარსებითი საზოგადოების საქმიანობისთვის.

საბაზრო რისკი. კომპანიას გააჩნია საბაზრო რისკების მიმართ განფენილობა. საბაზრო რისკი წარმოიქნება ღია პოზიციებიდან (ა) უცხოური ვალუტაში, (ბ) საპროცენტო განაკვეთის შემცველ

აქტივებისა და ვალდებულებებში და (გ) კაპიტალის პროდუქტებში, ყველაში რომელიც განფენილია ზოგადი და კონკრეტული საბაზრო ცვლილებების მიმართ. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც ყოველდღიურად ახორციელებს. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრებს მიღმა უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლიელბების შემთხვევაში.

სავალუტო რისკი.

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება იმერყეევებს უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებების გამო.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკის არის რისკი, რომ საწარმოს სირთულეები ექნება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებაში. კომპანიას ავქს განფენილობა ყოველდღიური მოთხოვნების მიმართ თავის ხელმისაწვდომ ფულად რესურსებზე. ხელმძღვანელობა ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების ყოველთვიური გარდამავალი პროგნოზების მონიტორინგს.

კომპანია ცდილობს შეინარჩუნოს დაფინანსების სტაბილური ბაზა. კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულსა და ფულის ექვივალენტებს.

10. კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას საზოგადოების დასახული ამოცანებია შეინარჩუნოს უნარი რომ მან გააგრძელოს არსებობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, შეინარჩუნოს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა საკუთარ კაპიტალზე ხარჯების შესამცირებლად.

საზოგაოდების კაპიტალიდან საანგარიშგებო პერიოდში და არც მას შემდეგ დივიდენდების გაცემა არ დაფიქსირებულა, რადგან მენეჯმენტის გადაწყვეტილებით, საზოგაოდების ლიკვიდურობის შენარჩუნების მიზნით, უკეთესია მიმდინარე კრედიტორული დავალიანებების შემცირება. გარდა ამისა, კაპიტალის მართვისას, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საზოგადოებას არ აქვს საოპერაციო შემოსავალი გამომდინარე იქედან რომ საქმიანობის სპეციფიკა არ იძლევა ამის საშუალება, ან არ უფიქსირდება დადებითი შედეგი პერიოდის ბოლოს. ხელმძღვანელობა, საჭიროებებიდან გამომდინარე, ლიკვიდურობის შესანარჩუნებლად, ხშირად მიმართავს კაპიტალის გაზრდას დამფუძნებლის შენატანის საფუძველზე.

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელმოწერილია 2024 წლის 20 სექტემბერს

ამირან კაკაბაძე
დირექტორი

თამარ დევაძე
ფინანსური მენეჯერი